



ერეკლე II-ს მოედანი 3, მე-2 სართ.,
ჟურნალისტთა სახლი,
დავით აღმაშენებლის სახელობის
ეროვნული თანხმობის ღარიბაშვილი
ტელ: 98 44 80; მთ: 73 07
ფაქსი: 92 26 54

David Agmashenebeli Assembly of
National Accord of the
Whole of Georgia,
Journalists' House, 3rd floor,
3 Erekle II Square,
Tel: 98 44 80, gov.: 73 07
Fax: 92 26 54

№ _____

" " _____ 200 წ.

აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების კონცეფცია

აფხაზეთი სუვერენული საქართველოს განუყოფელი ნაწილია. რაც დადასტურებული და აღიარებულია საერთაშორისო გაერთიანებების, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ:

1992-93 წლებში გარეშე ძალების ზეგავლენით და საქართველოში არსებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო აფხაზეთი იქცა ფაქტობრივად ოკუპირებულ ტერიტორიად, რომელსაც რუსეთის სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით მართავს ე.წ. სოსუმის სელისუფლება. ეთნიკური წმენდისა და გენოციდის გზით გამოდევნილია შეიარაღებულ კონფლიქტამდე იქ მცხოვრები მრავალეროვნანი მოსახლეობის 4/5, თითქმის 450 ათასი ადამიანი, ძირითადად ქართველობა (250 ათასამდე).

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური სელმძღვანელობა აფხაზეთში ინსპირირებულ კონფლიქტში თავიდანვე დაადგა დამოუკიდებელ საქართველოზე მძლავრი ზემოქმედების კურსს, რაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მის იძულებას ისახავდა მიზნად. ასე იყო 1992 წლის 3 სექტემბერს, 1993 წლის 27 ივლისს, როცა, ფაქტობრივად რუსეთის მხარემ ვერაგულად დაარღვია მისი ინიციატივით დადებული ხელშეკრულებები და ვერ გაგრის დაცემას, შემდგომ მთელი აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტას მიაღწია. საქართველოს სელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ღსმ-ში შესვლაზე, სოლო შემდგომ რუსეთთან დადო ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების 25 წლის ვადით დატოვებას ითვალისწინებდა. კონფლიქტის ზონაში შეყვანილ იქნა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების (ფაქტიურად რუსეთის) სამშვიდობო ძალები:

ამ წლებში საქართველოში შემოვიდნენ გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები - საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი, შეუერთდა ნატოს პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისთვის" და სსვა. აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობა, რომ საქართველომ შეცვალა რუსეთთან ურთიერთობების პოლიტიკა. შედეგად რუსეთმა არ მოახდინა ჩარჩო ხელშეკრულების რატიფიცირება და კვლავ ღიად დატოვა აფხაზეთის საკითხი.

სტამბულის 1999 წლის დეკემბრის მუშა-ს სამიტზე საქართველომ აშკარად მოახდინა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკის გადაფასება და პროაქტიური, პროდასავლური კურსის დაადგა.

მძლავრი საერთაშორისო ზემოქმედების შედეგად, რუსეთის სელისუფლება დათანხმდა საქართველოდან სამხედრო ბაზების გატანას, ამასთან, კიდევ უფრო გაამკაცრა ურთიერთობა

საქართველოსთან, რის კონკრეტული გამონატულებაც იყო საქართველოს ტერიტორიის არაერთგზის დაბომბვა, აფხაზეთთან გამარტივებული საფიზო რეჟიმის შემოღება, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზეთში საპასპორტო კამპანია (ანუ ოურიდიული ანექსიისათვის საბაბის შექმნის მცდელობა), აფხაზეთში საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების შექმნა, პერმანენტული მუქარები, სხვა სახითაა ნაბიჯები.

აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესი ჩიხშია შესული:

საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, რომელსაც თავის დროზე სელს აწერდნენ მაღალი რანგის მოხელეები, საქართველოს სელისუფლებამ უარი განაცხადა შეიარაღებული ძალებისა და პარტიზანული მოძრაობის გამოყენებით მოწყვეტილი ტერიტორიების უკან დაბრუნებაზე და კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა აირჩია. მიღწეულ შეთანხმებებს დიდი ხნის წინათ უნდა მოჰყოლოდა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნება, არჩევნების გზით აფხაზეთში ადგილობრივი სელისუფლების შექმნა, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად საქართველოს შემაღებლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა, მაგრამ ეს არ მოხდა.

საქართველოს სელისუფლებას, ქართული მხარის სახელით, ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ აფხაზეთში არ დაბრუნდნენ ისინი, ვინც მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. ახლა კი შეიარაღებულ ფორმირებებში მსახურობს და ემზადება აფხაზეთის დასაბრუნებლად.

აფხაზეთის მშვიდობიანი საშუალებებით დაბრუნება ვერ მოხერხდა, ბრძოლაზე უარი ითქვა. აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას აკრძალა წინააღმდეგობის გაწევა, გაეროს, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების (ე.წ. ენევის ფორმატი) ძალისხმევა უნაყოფოა, კონფლიქტი დაკონსერვებულად ითვლება და ამას სელს უწყობს მდ. ენგურზე ღსმ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ძალების (ფაქტობრივად, რუსეთის სამხედრო შენაერთების) არსებობა.

დაკონსერვებული კონფლიქტის პირობებში ნაკლებად პერსპექტიულია გაეროს წესდების მე-7 თავის ამოქმედება ("მოქმედება მშვიდობისადმი საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ"): ვერ იქნა მიღწეული კოლექტიური უსაფრთხოების (სამშვიდობო) ძალების გაყვანა, ჩანაცვლება და სხვა მოთხოვნების შესრულება, რასაც გაწამებული, იძულებით გადაადგილებული ადამიანები პროტესტის სხვადასხვა ფორმით გამონატავენ. გაეროს უშიშროების საბჭოს ა/წლის 30 იანვრის რეზოლუციის გათვალისწინებით, აშშ-სა და სხვა სახელმწიფოთა რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სამშვიდობო ძალების ენგურზე ყოფნის ვადა კვლავ გაგრძელდა 2003 წლის 1 ივლისამდე.

აფხაზეთის ბარაშე არ არსებობს საქართველოს მთავრობა, პრეზიდენტი, კაბინეტი, აქტიური მხარეების ბარაშე არ არსებობს აფხაზეთის კაბინეტის, მთავრობისა და მანქანების პრესენტაცია.

ეს შეხვედრები აქვს რომელიც საქართველოს, ისე აფხაზეთის მთავრობის დრო ნაწილს.

შექმნილ ვითარებაში არსებობს პრობლემის მოგვარების გზა:

1. უარის თქმა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიზნით საქართველოს სელისუფლების მიერ აღრე ნაკისრ ძირითად საერთაშორისო ვალდებულებებზე, რომლებსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ვერ მოჰყვა იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული დაბრუნება, მით უფრო აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგება, ამდენად, შეთანხმებები, რომლებიც თავისი შინაარსით აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებას ითვალისწინებდა და არ შესრულებულა, ბათილად უნდა იქნას ცნობილი;
2. აუცილებელია ქართველთა და აფხაზთა ინიციატივით შესდგეს ახალი მოლაპარაკებები სრულიად ახალი შინაარსით და მიმართულებით, მოლაპარაკებების მაგიდასთან ე.წ. აფხაზური მხარის წარმომადგენლებად მოწვევა იმ ადამიანებისა, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა შეიარაღებულ დაპირისპირებაში, აგრეთვე იმათი, ვინც მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ შეძლევ დატოვეს აფხაზეთი (ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები) და დღეს აფხაზეთის გარეთ იმყოფებიან;

ისინი უნდა იქნან ცნობილი ლტოლვილებად; საქართველომ უნდა სცნოს მათი კანონიერი უფლებები, რაც პირველ რიგში გულისხმობს მათ საქართველოში უპირობოდ დაბრუნებას; მათი სრულყოფილებიანი წარმომადგენლები, იმ ხალხის წარმომადგენლებთან ერთად, ვინც დღეს ცნოვრობს აფხაზეთში, უნდა მონაწილეობდნენ ახალ მოლაპარაკებებში, თავიანთი სამშობლოს - აფხაზეთის სახელმწიფოებრივ მოწყობაში (ცნობილია, რომ ე.წ. სოსხუმის ხელისუფლებამ მათი უმრავლესობა, მათ შორის, ეთნიკური აფხაზები, თავის დროზე მოლაპარაკებებზე გამოაცხადა, რადგან მათ მონაწილეობა არ მიიღეს შეიარაღებულ დაპირისპირებაში).

მოლაპარაკებათა ამ ფორმატით დაწყებაში გაეროსთან და ეუთოსთან ერთად შეუძლიათ პოზიტიური როლი შეასრულონ აშშ-მ და რუსეთის ფედერაციამაც;

3. ორივე დაპირისპირებული მხრიდან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მებრძოლის მიმართ უნდა გამოცხადდეს უპირობო ამნისტია; იმათ მიმართ, ვისაც არ ჩაუდენია მძიმე დანაშაული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, უნდა შეწყდეს ყოველგვარი პოლიტიკური და სამართლებრივი დევნა ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით. ამ კატეგორიის ადამიანთა მიმართ განხორციელდეს საერთო-სასაღწო ამნისტია, დასაშვებია ახალ მოლაპარაკებებში ორივე მხრიდან მეომართა წარმომადგენლების მონაწილეობა;
4. იმ პირებს ორივე დაპირისპირებული მხრიდან, რომელთაც ჩაიღიეს დანაშაული კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად უნდა დაეკისროთ სამართლებრივი პასუხისმგებლობა, საერთაშორისო სასამართლოს მიერ;
5. მოლაპარაკებათა დაწყებამდე შესაძლოა წინასწარ შემუშავდეს საქართველოს შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დოკუმენტი, რომლის მიღების შედეგად საერთაშორისო სამართლის სუბიექტები (აშშ, რუსეთი, გაერო, ეუთო და სხვები), მოიწონებენ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული კონსტიტუციური ხელშეკრულების (კანონის) ტექსტს და საერთაშორისო ძალისხმევით განამტკიცებენ მხარეთა ვალდებულებებს, გააკონტროლებენ მის განუხრეველ დაცვას. ამ მიზნით, საქართველოს მიხედვით, იკისრებენ არბიტრის, ხელშეწყობის ფუნქციას, განხორციელებენ საერთაშორისო სანქციებს გაეროს, ეუთოს, სახელმწიფოთა ჯგუფის ან გაერთიანების სახელით. საწყის ეტაპზე შესაძლოა ფუნქციონირებდეს ამ მიზნით გამოყოფილი გაეროს დამკვირვებელთა სპეციალური ჯგუფი;
6. აფხაზი და ქართველი ხალხი აფხაზეთში არის მკვიდრი მოსახლე. ამასთან, ამ მიწაზე დაბრუნების უფლება აქვს ყველა ეთნოსის წარმომადგენელს, ვისაც აფხაზეთში, მის საქართველოსგან მოწყვეტამდე უცხოვრია. აფხაზეთში არ არსებობენ პრივილეგირებული ეთნოსები, მათ აქვთ თანასწორი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებები;
7. აფხაზეთი უნდა იყოს აფხაზეთში მცხოვრები ხალხის მიერ შექმნილი სახელმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნი საქართველოს შემადგენლობაში. აფხაზეთის სახელისუფლო ორგანოებს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან დელეგირებული უნდა ჰქონდეს ფართო, დამოუკიდებელი უფლებამოსილებანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებაში; საქართველოს კონსტიტუციაში ნათლად ჩამოყალიბდება დამოუკიდებლად მართვის მიზნით აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოებისთვის გადაცემული და ორმაგი მართვის სფეროს მიკუთვნებული საკითხები, ასევე მსოფლიოდ საქართველოს უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროები და კანონმდებლობა. ყოველივე წემოაღნიშნული აისახება საერთაშორისო შეთანხმებაში ან კონსტიტუციურ კანონში, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში და აფხაზეთის კონსტიტუციაში;
8. საქართველოს კონსტიტუცია უნდა შეივსოს სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის თავით (მე-3 თავი). ამასთან, კონსტიტუციის სხვა მუხლებში შევიდეს აქედან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები;
9. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას მმართველობის და თვითმმართველობის ერთიანი პოლიტიკური სისტემა, აფხაზეთის სახელმწიფო-ტერიტორიული წარმონაქმნის

მმართველობის ორგანოთა ასიმეტრიულ, გაფართოებულ უფლებამოსილებათა გათვალისწინებით:

10. აფხაზეთის შიდა მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით აფხაზეთის შესახებ, აფხაზეთში მცხოვრები ხალხის ნებით, ვინც კონსენსუსით, დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე წყვეტს ხელისუფლების განაწილების, სახელისუფლებო შტოების ფორმირების, საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების, კულტურული ექსტრაპოლაციის, საარჩევნო სისტემის და სხვა საკითხებს საერთაშორისო სტანდარტებისა და მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკის შესაბამისად. რაც დაფიქსირდება საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებში და შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს ამ მიზნით შექმნილებულ საერთაშორისო გარანტიებით;
11. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზ ხალხს შეეძლება თვითმყოფადი ტრადიციების, კულტურის, ენის, განათლების, მეცნიერების განვითარების ყველა გარანტია, რაც კი არსებობს თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების შიდაერთონულ ურთიერთობათა პრაქტიკაში, რაც თავის მხრივ შექმნის ჯანსაღ ნიადაგს ურთიერთნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრებისთვის;
12. აფხაზი ერის რჩეული შვილები წარმოდგენილი იქნებიან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საძივე შტოში, ისევე როგორც კულტურის, მეცნიერების, განათლების, ხელოვნების, ეკონომიკის და სხვა სფეროებში. საქართველოს სახელმწიფო აფხაზეთში მცხოვრებთა, როგორც საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს დაიცავს საქართველოში და დედაამიწის ნებისმიერ წერტილში;
13. მიღწეულ იქნეს (დაწესდეს მორატორიუმი), რომ ქართული და აფხაზური მასშედიის (სახელმწიფო, კერძო) მხრიდან არ იქნას დაშვებული ურთიერთდაპირისპირების გაღვივება, "შტრის ნატის" შექმნა, ურთიერთშეურაცხყოფელი მასალების გავრცელება, აკადემიურ გამოკვეთათა შექმნა და ტირაჟირება, რომლებიც ხელს არ უწყობენ ნდობისა და თანხმობის მიღწევას. სადავო ისტორიული საკითხები დახურულად უნდა იხილებოდეს ორივე მხრის სამეცნიერო წრეებში; ამ თემატიკაზე შექმნილი ნაშრომები რჩება ავტორთა ინტელექტუალურ საკუთრებად. მაგრამ ორმხრივი შეთანხმების გარეშე არ უნდა მოხდეს მათი გამოქვეყნება. ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლები თავიანთი შემოქმედებითა და მოღვაწეობით ხელს უნდა უწყობდნენ ავბედითი წარსულის დავიწყებას, ახალგაზრდა თაობის აღზრდას მეგობრობისა და ძმობის ტრადიციებზე ხელისუფლება ყოველმხრივ უნდა ახალისებდეს ასეთ საქმიანობას;
14. განსვლილი საზოგადოების გასამთლიანებლად გამოყენებულ იქნას პირდაპირი დიალოგები, ხალხთა შემხვედრი მოძრაობის, სახალხო დიპლომატიის, ორივე ერის სახელოვან მამულიშვილთა, შერეული ოჯახების (რომელთა რიცხვი მოსახლეობის 41%-ს შეადგენს), მოგვარების, მეომართა, ახალგაზრდათა, რელიგიურ მიმდინარეობათა, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეთა, არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობანი; სასურველია, სახალხო შერიგებისა და თანხმობისთვის უხსუცესთა ერთობლივი აფხაზურ-ქართული საბჭოს შექმნა. საბჭოში საერთო თანხმობით მიღწეულმა გადაწყვეტილებებმა უნდა ჰპოვონ სახელმწიფო მხარდაჭერა და სახალხო აღიარება;
15. აფხაზეთში ნდობისა და თანხმობის აღსადგენად გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლოა ფუნქციონირებდნენ გაეროს და ეუთოს სტრუქტურები, საქაროების შემთხვევაში, დასაშვებია, გაეროს მმართველობის შემოღებაც კი; მოსახლეობას უნდა ჰქონდეს მათი მხარდაჭერის იმედი. აფხაზეთი უნდა გახდეს დემილიტარიზებული, მუდმივი მშვიდობისა და თანხმობის, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალური განსვრციელების ნიშნად;
16. საქართველოს სახელმწიფოს მიერ აფხაზეთში ცხოვრების დაჩქარებული აღორძინებისთვის, საერთაშორისო პროგრამული მხარდაჭერით, უნდა შეიქმნას განსაკუთრებული ეკონომიკური პირობები;
17. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს დაბრუნებულ ლტოლვილთა და დევნილთა მშვიდობიანი ცხოვრების დაჩქარებული აღორძინების მასტიმულირებელი საბიუჯეტო-

საგადასახადო, ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებები, მათ შორის, ტრასეკას დერეფნის პოტენციალისა და თანხლები ინფრასტრუქტურის ჩათვლით;

18. სოსუმის ხელისუფლების მიერ მოლაპარაკებათა უარყოფა, მათ შორის "თბილისსა და სოსუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ", გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ყველა წევრთან შეთანხმებული და სრულად მხარდაჭერილი დოკუმენტის მიუღებლობა, უნდა შეფასდეს, როგორც აგრესიული ქმედება, საფრთხის შექმნა საერთაშორისო უშიშროებისთვის რეგიონში, საქართველოს ხალხისა და საერთაშორისო გაერთიანებებისადმი დაპირისპირების ფაქტი; ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში გაერომ ნათლად უნდა გამოსატოს მზადყოფნა წესდების მე-7 თავის ასამოქმედებლად, ზუსტი ვადების დათქმით;
19. აფხაზეთის გარშემო შექმნილი პოლიტიკური და სამართლებრივი კოლიზიების შემდგომი გაჭიანურების შემთხვევაში, თუ რუსეთის სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელდება საქართველოსადმი მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური და სხვა ხანის დაწოლა, ხოლო გაერო არ დააჩქარებს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მკაფიო და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას, სოსუმის ხელისუფლება კი კვლავაც გააგრძელებს მოლაპარაკებათა გაჭიანურების პოლიტიკას (რაც ისედაც უკვე ათ წელიწადზე მეტია გრძელდება), საქართველოს ხალხი და ხელისუფლება, აფხაზეთის მოსახლეობის საუკეთესო შიგლიდან ერთად, იტოვებს უფლებას მიმართოს დამოუკიდებელი, სუვერენული, გაეროს წევრი ქვეყნისათვის საყოველთაოდ აღიარებულ ნებას, აღადგინოს კონსტიტუციური წესრიგი საკუთარი სახელმწიფოს ნებისმიერ რეგიონში, ყველა მის ხელთ არსებული საშუალებებით, აფხაზეთიდან დევნილ და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან მოძალადისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ჩათვლით. ამ მოქმედებებს საფუძვლად დაედება საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ, რაც არ ეწინააღმდეგება ხალხთა თვითგამორკვევის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს;
20. აღნიშნულ ღონისძიებათა მიზანია ქვეყნის მთლიანობის აღდგენა, დევნილთა და ლტოლვილთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო დაბრუნება; საქართველოს დედაქალაქის, რეგიონების, აგრეთვე მუზობელი სახელმწიფოების განტვირთვა დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობისგან, აფხაზეთში დემოკრატიული წესრიგის დაბრუნება, რაც დამატებითი სტიმული იქნება მისი დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის; აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისთვის ამჟამად მსოფლიოში შექმნილია ხელსაყრელი ფონი, კონფლიქტის მოგვარება, ხელს შეუწყობს ტერორიზმის, აგრესიული სეპარატიზმის, უკონტროლო ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხის დაძლევას, "ცხელი წერტილების" ჩაქრობას, რაც შედის საერთაშორისო გაერთიანებათა სასიცოცხლო ინტერესებში.

ეროვნული თანხმობის დარბაზი გამოთქვამს რწმენას, რომ ამ კონცეფციის ძირითადი პრინციპების განსორციელება უსრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ქვეყნის გამთლიანებას, ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო პროცესის სრულფასოვან დასრულებას, იურიდიულ-სამართლებრივი პრაქტიკის დახვეწას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას, მუზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის ნორმალიზებას, საერთაშორისო და ეროვნულ ტრადიციებზე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალურ დამკვიდრებას.

მივმართავთ საქართველოს ხალხს, განსაკუთრებით აფხაზებს, აფხაზეთის მოსახლეობას, ქვეყნის შიგნით და გარეთ, მიუხედავად ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა,

სელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიო თანამეგობრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პრესისა და ტელევიზიის მუშაკებს მხარი დაუჭირონ აქ ჩამოყალიბებულ ღონისძიებათა განხორციელებას, რათა დაჩქარდეს ჩვენს ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ურთიერთობების ფორმირება, ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის.

სწმინდა: პ. ლენჩილაძე

Handwritten signatures and notes in the top left corner.

მანომენტო

საქართველოს და ვით ადამაშენებლის სახელობის
ეროვნული თანხმობის დარბაზის მიერ შემუშავებული
"ოქსაზეოში კონფლიქტის მოგვარების კონცეფციასთან"
დაკავშირებით

1. ამოღებულ იქნას 1, მე-9, მე-18 და მე-19 მეხლები;
2. მე-2 მეხლის მე-3 სტრიქონში სიტყვა "ადამიანებისა"
შეიცვალოს სიტყვით "ადამიანებსაც";
3. მე-7 მეხლის მე-2 აბზაცის პირველ სტრიქონში სიტყვის
"ხიჯლად" შემდეგ ჩაემატოს სიტყვა "უნდა", ხოლო სიტყვა
"ჩამოყალიბდება" შეიცვალოს სიტყვით "ჩამოყალიბდეს". ამავე
მეხლის მე-2 აბზაცში სიტყვებს "ზემოთ აღნიშნული"
დაემატოს სიტყვა "უნდა" და სიტყვა "აისახება" შეიცვალოს
სიტყვით "აისახოს";
4. მე-10 მეხლის პირველ სტრიქონში სიტყვების "შიდა
მოწილობის" შემდეგ დაემატოს სიტყვები "უნდა განისაზღვროს";
5. მე-11 მეხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"საქართველოს სახელმწიფოში თვითმყოფადი
განვითარებისათვის აფხაზ ხალხს შეექმნება საერთაშორისო
ხამართლით მიღებული და საბჭოთა კოტალიტარიზმის
პერიოდში შედარებული ეროვნული უფლებების დაცვის
კონსტიტუციური და დასტურებული ვარანტიები, რაც ხელს
შეუწყობს თრ ხალხს შორის ურთიერთდობისა და
ისტორიულად ტრადიციული კეთილი თანაცხოვრების
აღიქვანას. აფხაზეთის მოსახლეობის პარმონიულ
განვითარებას";
6. მე-12 მეხლის პირველ სტრიქონში სიტყვა "იქნებიან"
შეიცვალოს სიტყვით "უნდა იყვნენ".

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მიადგილე

Handwritten signature of Vatskhana Koblava
ვახტანგ ყობლავა

რაკი ვამე: ბ. ზარბ / ბ. ლვანცა